


# ელდარის დაბლობი და ალაზნის დაბლობი

ელდარის დაბლობი (იგივე ელდარის ვაკე) აკუმულაციური წარმოშობის ვაკე-დაბლობია. იგი მდინარე ივრის ქვემო დინების ორივე ნაპირზე, საქართველოსა და აზერბაიჯანში მდებარეობს. ელდარის დაბლობი საქართველოს ფარგლებში, მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ 25კმ-ზე ვრცელდება. დაბლობის მაქსიმალური სიგანე 6-7კმ-ია. იგი თითქოს ჰორიზონტალურ სიბრტყეს წარმოადგენს და მისი აბსოლუტური სიმაღლე ზღ.დ 100-250მ-ია.



ელდარის დაბლობი ჩვენი ქვეყნის ყველაზე გვალვიანი ტერიტორიაა და ერთადერთი ადგილია საქართველოში, სადაც ნახევარუდაბნოს ნამდვილი ლანდშაფტია. აქ მშრალი სუბტროპიკული კლიმატია, რაც ნახევარუდაბნოს ტიპის მცენარეულობის განვითარებას განაპირობებს. დაბლობზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა  $+13^{\circ}\text{C}$ -ია. ყველაზე ცივი თვის, იანვრის, საშუალო ტემპერატურა  $+1-2^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო ყველაზე ცხელი თვის, ივლისის  $+25^{\circ}\text{C}$ -ს აღემატება და მაქსიმალურია საქართველოსთვის.

დაბლობზე ნალექების წლიური რაოდენობა ძალიან მცირეა 200-300მმ და ეს საქართველოს ტერიტორიაზე ნალექების მინიმუმია. ელდარის ვაკეზე დანესტიანების მკვეთრი უარყოფითი ბალანსი(დანესტიანების ხარისხი უდრის 0,2-0,3) აღინიშნება.

ელდარის დაბლობი ჰავის სიმშრალის გამო სრულიად მოკლებულია ჰიდროგრაფიულ ქსელს. აქ ხანდახან დროებითი ნაკადები წარმოიქმნება, თუმცა ისინი, დაბლობის გადაკვეთას ვერ ახერხებს და ნიადაგში იჟონება.

კლიმატური პირობების გამო, ელდარის დაბლობზე ნახევარუდაბნოს ქსეროფიტული მცენარეულობაა გავრცელებული. აქ რუხ და ღია მურა ნიადაგებზე ხარობს ნახევარუდაბნოს ავშნიანი და ავშნიან-ანზინდიანი მცენარეულობა, მიმდინარე გორაკ-ბორცვებზე კი-უფრო მეჩხერი მცენარეულობა, რომელიც უდაბნოს ფლორას წააგავს. ელდარის დაბლობი უდაბური და დაუსახლებელია.



მდინარე ალაზანი მთელ სიგრძეს კვეთს 169კმ სიგრძის ალაზნის ვაკე, იმავე ალაზნის ველს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენაა დახრილი. ვაკის სიმაღლე ზღ.დ 200-470მ-ია. იგი კიდევზე ამალღებულია და ალაზნის მრავალი შენაკადითაა დანაწევრებული

ალაზნის ვაკე ბრტყელი ვაკის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში აქ მრავლადაა მდინარე ალაზნის მარცხენა და მარჯვენა შენაკადების მძლავრი გამოზიდვის კონუსები. მათ შორის აღსანიშნავია მდინარეების ღურჯისა და თურდოს გამოზიდვის კონუსები.

ალაზნის ვაკე გაბატონებულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა. დამახასიათებელია ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. ვაკე საკმაოდ კარგადაა დაცული დასავლეთსა და ჩრდილოეთიდან. ნალექების რაოდენობა წელიწადში 700-1000მმ-ია, ნალექების მაქსიმუმი მაისში აღინიშნება, ხოლო მინიმუმი- იანვარში. ვაკეზე წელიწადში 30-60 დღე ელჭექიანია, 2-3 დღე კი - სეტყვიანი. ეს ტერიტორია სეტყვიან დღეთა სიხშირით კი არ გამოირევა, არამედ სეტყვის მსხვილი მარცვლებითა და სტიქიის მიერ გამოწვეული ზარალით.

ნიადაგური და მცენარეული საფარი ალაზნის ვაკის მარცხენა და მარჯვენა ნაწილებში განსხვავებულია, რაც იმითაა განპირობებული, რომ ჰაერის მასები, რომლებიც კავკასიონს ეჯახება და იძულებით ზემოთ მიიწევს, მარცხენა ნაწილს უფრო უხვად ანესტიანებს.

ალაზნის ველი ბუნებრივი რესურსებით მდიდარი და საქართველოს ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ადგილია. დიდი დასახლებული პუნქტები ალაზნის ვაკის კიდეებზე, კახეთის კავკასიონისა და გომბორის ქედის ძირასაა განლაგებული.



## გმადლობთ ყურადღებისთვის

მარიამ ნონაშვილი